ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

განკარგულება:**გ-13. 1325086001**

თარიღი:**27/03/2025**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისათვის ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება და წყალანირება“-სათვის უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ'' ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-6 პუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე,

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის ფორმით - უზუფრუქტით, ორგანიზაციის არსებობის ვადით, გადასცეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება და წყალანირებ'' - ს (ს/კ 424068298) ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონება:

   ა) ქალაქ ახალციხეში, ე.წ ,,ტბის'' ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული ობიექტი N1 (საპირფარეშო) (საკადასტრო კოდი: 62.09.53.446);

   ბ) ქალაქ ახალციხეში, ბექა ჯაყელის I ჩიხი N34-ის მიმდებარედ არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული ობიექტები N1 და N2 (საკადასტრო კოდი: 62.09.60.469);

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ა).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი